

ახალი ამბები

პოლიტიკა

„მწვანე ალტერნატივა“ წინასაარჩევნოდ სპეციალურ კამპანიას ჩაატარებს

თბილისი.30.04.08.მედიანიუსი. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ წინასაარჩევნო კამპანიას განახორციელებს, რომლის მიზანია საარჩევნო სუბიექტების გარემოს დაცვითი პრობლემებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა.

კამპანიის სახელწოდებაა „პიოტხე შენს კანდიდატს“, ხოლო სლოგანი - „აირჩიე მდგრადი მომავალი“.

კამპანია ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ასოციაციის თავმჯდომარემ მანანა ქოჩლაძემ განაცხადა, კამპანიის ფარგლებში, „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები გაეცნობიან 12-ვე საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო პლატფორმას, კერძოდ იმას, თუ რა ადგილი უჭირავს მათ სამოქმედო პროგრამაში გარემოს დაცვითი საკითხების გადაწყვეტას, მაგალითად, რას გააკეთებს კონკრეტული საარჩევნო სუბიექტი ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, დედაქალაქსა და რეგიონებში სხვადასხვა სახის ნარჩენების შეგროვებისა და უსაფრთხოდ განთავსების პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოში შემორჩენილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გადასარჩენად, მიზანია თუ არა პრიორიტეტულ საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვა და შენარჩუნება, რა გაკეთდება მდგრადი და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკის განვითარებისათვის საქართველოში და ა.შ. ეს და სხვა შეკითხვები, საარჩევნო სუბიექტების პასუხები და ინტერვიუები განთავსდება „მწვანე ალტერნატივას“ ვებ-გვერდზე (www.greeningfuture.net).

ამავე ვებ-გვერდზე ამომრჩევლებს შეეძლება, თავადაც დაუსვან შეკითხვები მაჟორიტარ კანდიდატებს. მანანა ქოჩლაძის თქმით, ჩვენს არჩევანს, როგორც წესი, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან ისეთ საკითხებზე დამოკიდებულება განსაზღვრავს, როგორც არის განათლების და ჯანდაცვის სისტემების რეფორმა, ეკონომიკის განვითარება, უმუშევრობა და ა.შ.

„ამ საკითხებს შორის, შესაძლოა, გამოგვჩნეს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხი - როგორ გარემოში ვცხოვრობთ და რას გვაპირდებიან არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. ჩვენი მიზანია, საზოგადოებამ მათ წინასაარჩევნო პლატფორმაში ყურადღება ამ საკითხსაც მიაქციოს“, - აღნიშნა მანანა ქოჩლაძემ.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი